ხელშეკრულება N332
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 29 მარტი 2019 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის ს.საჯავახოს საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა კუციას სახით და ააიპ „შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისთვის“, წარმოდგენელი მისი გამგეობის თავმჯდომარის, მალაქი ჭანუყვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) მეორეს მხრივ,
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს 1“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი **1.** ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია სამხედრო-პატრიოტული ჟურნალ „მეციხოვნეს“ (CPV 22200000) გამოწერა თითო ნომერი ერთ ეგზემპლარად (ერთი წლის განმავლობაში (2019 წლის ბოლომდე) სულ 5 (ხუთი) ნომერი და 5 (ხუთი) ეგზემპლარი) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი **2.** ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 25 ლარს და 00 თეთრს;
2. საქონლის მიწოდება დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად;
3. შემსყიდველი მიმწოდებელს შეძენილი საქონლის ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
3.1 პროდუქციის მიწოდების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი **4.** მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ვალდებულია*:*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით დროულად აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება

2. მიმწოდებელი ვალდებულია*:*

2.1.დროულად მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო საბუთების თანდართვით

2.2.მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი და შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია*:*

3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია*:*

4.1.მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება

მუხლი **5.** მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი **6.** ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1.ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ამ მისი პირობების სრულად შესრულებისთანავე;

1.2.მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე;

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი **7.** ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები;

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი **8.** დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი **9.** ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული სიტუაციით.

მუხლი **10.** სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ს. საჯავახოს საჯარო სკოლა ს/კ238762763 დირექტორი ვაჟა კუცია	მიმწოდებელი: ააიპ „შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისთვის“ მის: თბილისი, მე-3 მასივის ზ/პლატო კორპ.4 ბ.1 ტელ: 598 59 46 55; 599 00 34 84 ს/კ 406115813 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ა/ა GE93BG0000000809717500 გამგეობის თავმჯდომარე მალაქი ჭანუყვაძე